

2.2.4 საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები

2.1.8. ბუნებრივი გარემოს ფიზიკური ფაქტორები

ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი
შენობების სათავსოებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე
სანიტარული ნორმები
ს ნ 2.2. 4/2.1.8.000 -00

I. გამოყენების სფერო

1. წინამდებარე სანიტარული ნორმები შემუშავებულია საქართველოს კანონების „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ , „გარემოს დაცვის შესახებ“ და ადგენენ ხმაურის კლასიფიკაციას, ხმაურის ნორმირებულ პარამეტრებსა და ზღვრულად დასაშვებ დონეებს სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე.
2. სანიტარული ნორმები არ ვრცელდება სპეციალური დანიშნულების სათავსოებზე (რადიო, ტელე, კინოსტუდიები, თეატრებისა და კინოთეატრების დარბაზები, საკონცენტრო და სპორტული დარბაზები).

II. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე სანიტარული ნორმები ადგენენ ხმაურთა კლასიფიკაციას ხმაურის ნორმირებულ პარამეტრებს დასაშვებ დონეებს სამუშაო ადგილებზე; ხმაურის დასაშვებ დონეებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე.
2. სანიტარული ნორმები სავალდებულოა საქართველოს ტერიტორიაზე ყველა ორგანიზაციისა და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმირებისა დაქვემდებარებისა და ფიზიკური პირებისათვის, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა.
3. სანიტარული ნორმების მოთხოვნები გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო სტანდარტებსა და ყველა ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებში, რომელნიც ახდენენ საწარმოო ობიექტების, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების, ტექნოლოგიური, საინჟინრო, სანიტარულ- ტექნიკური მოწყობილობების და მანქანების, სატრანსპორტო საშუალებების, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა საგემო, კონსტრუქციული, ტექნოლოგიური, სერთიფიკაციულ და საექსპლოატაციო მოთხოვნების რეგლამენტირებას.
4. სანიტარული ნორმების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და თანამდებობის პირებს, ასევე მოქალაქეებს დადგენილი წესით.
5. სანიტარული ნორმების მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მოქმედი სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნების გათვალისწინებით.
6. ხმაურის დონეების გაზომვა და ჰიგიენური შეფასება, ასევე პროფილაქტიკური ღონისძიებები უნდა გატარდეს სახელმძღვანელოს 2.2.4/2.1.8- „საწარმოო და გარემომცველი გარემოს ფიზიკური ფაქტორების ჰიგიენური შეფასების“ – შესაბამისად.

7. წინამდებარე სანიტარული ნორმების დამტკიცების შემდეგ ძალადაკარგულად ითვლება „ხმაურის დონეების დასაშვები სანიტარული ნორმები სამუშაო ადგილებზე“ - N 3283-85; „ხმაურის დასაშვები სანიტარული ნორმები საცხოვრებელ და საზოგადოებრივი შენობის სათავსოებში და საცხოვრებელ განაშენიანების ტერიტორიაზე“ - N 3077 - 84; „ჰიგიენური რეკომენდაციები ხმაურის დონეთა დასადგენად სამუშაო ადგილებზე შრომის დაძაბულობის და სიმძიმის გათვალისწინებით“ - N 2411 -81.

III. ნორმატიული დამოწმებები

1. წინამდებარე სანიტარულ ნორმებში გამოყენებულია დამოწმებები შემდეგ დოკუმენტებზე:
 - ა) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.
 - ბ) საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“.
 - გ) საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“.
 - დ) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1998 წლის 30 იანვრის N 44/ო ბრძანება „საქართველოში 1992 წლამდე მოქმედ სანიტარულ – ჰიგიენური წესების, ნორმებისა და ჰიგიენური ნორმატივების დროებით ძალაში დატოვების შესახებ.“
 - ე) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მარტის N 807 ბრძანებულება „ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების სახელმწიფო პროგრამის 1999 -2005 წლების ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“.
 - ვ) სახელმძღვანელო 1.1001 -99 „ზოგადი საკითხები, ზოგადი მოთხოვნები სანიტარულ – ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმატიული და მეთოდური დოკუმენტების წყობაზე, გამოცემაზე, გაფორმებაზე და შინაარსზე. „დამტკიცებული საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ 1999 წლის 8 დეკემბრის N 490 /ო ბრძანებით.

IV. ტერმინები და განსაზღვრებები

1. ბგერითი რხევა – ცვლადი შემადგენელი ჰაერის ან გაზის წნევისა, რომელიც ბგერითი რხევის შედეგად წარმოიქმნება;
2. არაბუნებრივი ხმაურის ბგერის ექვივალენტური (ენერჯის მიხედვით) დონე LA ექვ, დბ A – მუდმივი ფართოზოლიანი ხმაურის ბგერის დონე, რომელსაც აქვს იგივე საშუალო კვადრატული ბგერითი წნევა, როგორც არამუდმივ ხმაურს დროის განსაზღვრული ინტერვალის განმავლობაში.
3. ხმაურის ზღვრულად დასაშვები დონე (ზდდ) - ფაქტორის დონე ,რომელიც ყოველდღიურ სამუშაოზე (დასვენების დღეების გარდა) , არაუმეტეს 40 საათისა კვირაში, მთელი სამუშაო სტაჟის განმავლობაში არ უნდა გამოიწვიოს დაავადება ან ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გადახრა, გამოვლენილი კვლევის თანამედროვე მეთოდებით მუშაობის პროდესში ან ახლანდელი და მომავალი თაობების სიცოცხლის შორეულ პერიოდში. ხმაურის ზდდ-ის დაცვა არ გამორიცხავს ჯანმრთელობის მდგომარეობის დარღვევას (მოშლას) მაღალმგრძობიარე პირებში.
4. ხმაურის დასაშვები დონე - დონე, რომელიც არ იწვევს ადამიანის მნიშვნელოვან მოუსვენრობას (შეწუხებას) და ხმაურის მიმართ მგრძობიარე სისტემის ფუნქციური მდგომარეობის არსებით ცვლილებას.
5. ბგერის მაქსიმალური დონე LAI მაქს, დბ A –ბგერის დონე, რომელიც შეესაბამება გამზომი, პირდაპირ მაჩვენებელი ხელსაწყო (ხმაურმზომის) მაქსიმალურ მაჩვენებელს ვიზუალური ათვლისას ან ბგერის დონის მნიშვნელობა გაზომვის დროს 1% -ით გადამეტებისას, ავტომატური მოწყობილობით რეგისტრაციისას.

V. ადამიანზე მოქმედი ხმაურის კლასიფიკაცია

1. ხმაურის სპექტრის ხასიათის მიხედვით გამოყოფენ:

- ა) ფართოზოლიანი ხმაური უწყვეტი სპექტრით, ერთ ოქტავაზე მეტი სიგანით;
- ბ) ტონალური ხმაური, რომლის სპექტრში გამოკვეთილი ტონებია. ხმაურის ტონალური ხასიათი პრაქტიკული მიზნებისათვის სიხშირეთა $1/3$ ოქტავურ ზოლებში გაზომვით, ერთ ზოლში გვერდით მდებარე (მეზობელ) ზოლთან გადამეტებისას არანაკლებ 10 დბ –ით.

2. ხმაურის დროებითი მახასიათებლის მიხედვით გამოყოფენ:

- ა) მუდმივი ხმაური, რომლის ბგერის დონე 8 საათიან სამუშაო დღეს ან საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში, საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე ხმაურმზომის დროით მახასიათებელზე „ნელა“ გაზომვებისას იცვლება დროში არანაკლებ 5 დბ –ით;
- ბ) არამუდმივი ხმაური, რომლის დონე 8 საათიან სამუშაო დღეს, სამუშაო ცვლაში ან საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში, საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე, ხმაურმზომის დროებით მახასიათებელზე „ნელა“ გაზომვებისას იცვლება დროში 5დბ-ზე მეტი სიდიდით.

3. არამუდმივი ხმაური იყოფა:

- ა) დროში მერხევი ხმაური, რომლის ბგერის დონე უწყვეტად იცვლება დროში;
- ბ) წყვეტილი ხმაური, რომლის ბგერის დონე საფეხურებრივად იცვლება (5დბ და მეტით). ამასთან ერთად ინტერვალების ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაში ხმაურის დონე მუდმივია, შეადგენს 1 წამს და მეტს.
- გ) იმპულსური ხმაური, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ბგერითი სიგნალებისაგან, თითოეული ხანგრძლივობით 1 წმ-ზე ნაკლები, ამასთან ერთად ბგერის დონეები, დბ 1 და დბ-ში გაზომილი, შესაბამისად დროით მახასიათებლებზე „იმპულსი“ და „ნელა“ განსხვავდებიან არანაკლებ 7 დბ-ით.

VI. სამუშაო ადგილებზე ხმაურის მანორმირებელი პარამეტრები და ზღვრულად დასაშვები დონეები

1.სამუშაო ადგილზე მუდმივი ხმაურის მახასიათებელს წარმოადგენს ბგერითი წნევის დონეები დბ-ში, ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეებით 31,5; 63; 125; 250; 500; 1000; 2000; 4000; 8000 ჰერცი, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$L=20 \text{ ლგ } p/p_0, \text{ სადაც}$$

P –ბგერითი წნევის საშუალო კვადრატული მნიშვნელობა, პა;

P_0 – ბგერითი წნევის საწყისი მნიშვნელობა ჰაერში, რომელიც $2 \cdot 10^{-3}$ პა-ის ტოლია.

2. სამუშაო ადგილზე მუდმივი ფართოზოლიანი ხმაურის მახასიათებლის სახით დასაშვებია მიღებულ იქნას ბგერითი წნევა დბ.А-ში, გაზომილი ხმაურმზომის მახასიათებელზე „ნელა“ , რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$L_A=20 \text{ ლგ } p_A/p_0, \text{ სადაც}$$

p_A - ბგერითი წნევის საშუალო კვადრატული სიდიდე ხმაურმზომის “А” კორექციის გათვალისწინებით, პა.

3. სამუშაო ადგილებზე არამუდმივი ხმაურის მახასიათებელს წარმოადგენს ბგერის ექვივალენტური (ენერგიის მიხედვით) დონე –А დბ-ში.

4. სამუშაო ადგილებზე ბგერის ზღვრულად დასაშვები და ბგერის ექვივალენტური დონეები შრომითი საქმიანობის და სიმძიმის გათვალისწინებით წარმოდგენილია ცხრილში 1.

5. შრომითი პროცესის სიმძიმის და დამაბულობის რაოდენობითი შეფასება უნდა ჩატარდეს სახელმძღვანელოს 2.2.013-94 “შრომის პირობების შეფასების ჰიგიენური კრიტერიუმები საწარმოო გარემოს ფაქტორების მავნეობისა და საშიშროების, შრომითი პროცესის სიმძიმისა და დამაბულობის მაჩვენებლის მიხედვით”-შესაბამისად.

ცხრილი 1

ბგერის ზღვრულად დასაშვები და ბგერის ეკვივალენტური დონეები შრომითი საქმიანობის სიმძიმის და დამაბულობის სხვადასხვა კატეგორიებისათვის, დბ A					
შრომითი პროცესის დამაბულობის კატეგორია	შრომითი პროცესის სიმძიმის კატეგორია				
	მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა	საშუალო ფიზიკური დატვირთვა	მძიმე შრომა I ხარისხის	მძიმე შრომა II ხარისხის	მძიმე შრომა III ხარისხის
მსუბუქი ხარისხის დამაბულობა	80	80	75	75	75
საშუალო ხარისხის დამაბულობა	70	70	65	65	65
დამაბული შრომა I ხარისხის	60	60			
დამაბული შრომა II ხარისხის	50	50			

6. მნიშვნელები:

ა) ტონალური და იმპულსური ხმაურისათვის ზდდ 5 დბ A-IT ნაკლებია ცხრილ1-ში მითითებულ მნიშვნელობებზე;

ბ) ჰაერის კონდეციონირების, ვენტილაციის და საჭაერო გათბობის დანადგარების მიერ წარმოქმნილი ხმაურისათვის, სათავსებში 5 დბ A-ით ნაკლებია ხმაურის დონეებზე (გაზომილი ან გამოთვლილი), თუ უკანასკნელნი არ აღემატებიან ცხრილ 1-ში სოცემულ მნიშვნელობებს (ამასთან ტონალური და იმპულსური ხმაურისათვის შესწორება არ არის გათვალისწინებული), წინააღმდეგ შემთხვევაში 5დბ A-ით ნაკლები მნიშვნელობები, მითითებული ცხრილ N 1-ში.

გ) დამატებით დროში მერხვევი და წყვეტილი ხმაურისათვის ბგერის მაქსიმალური დონე არ უნდა აღემატებოდეს 110 დბ A-ს, იმპულსური ხმაურისათვის 125 დბA-ს.

7. ბგერითი წნევის ზღვრულად დასაშვები დონეები სიხშირეთა ოქტავურ ზოლებში, ბგერის დონეები და ბგერის ეკვივალენტური დონეები შრომითი საქმიანობისა და სამუშაო ადგილების ძირითადი, უფრო მეტად ტიპიური სახეებისათვის, შემუშავებული შრომის სიმძიმისა და დამაბულობის კატეგორიების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ცხრილ N 2-ში.

VII. ხმაურის მანორმირებელი პარამეტრები და დასაშვები დონეები საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე

1. მუდმივი ხმაურის მანორმირებელ პარამეტრებს წარმოადგენს ბგერითი წნევის დონეები L, დბ, ოქტავურ ზოლებში საშუალო გეომეტრიული სიხშირებით: 31,5; 63 125; 250; 500; 1000; 2000; 4000; 8000ჰც, საორიენტაციო შეფასებისათვის დასაშვებია ბგერის დონეების LA, დბ A გამოყენება.

2. არამუდმივი ხმაურის ნორმირებულ პარამეტრებს წარმოადგენს ბგერის ეკვივალენტური დონეები (ენერჯის მიხედვით) ექვ, დბ და ბგერის მაქსიმალური დონეები მაქს. დბ. არამუდმივი ხმაურის შეფასება დასაშვებ დონეებთან შესაბამისობაზე უნდა ჩატარდეს ერთდროულად ბგერის ეკვივალენტური და მაქსიმალური დონეების მიხედვით. ერთ-ერთი მაჩვენებლის გადაამეტება განხილულ უნდა იქნეს, როგორც შეუსაბამისობა წინამდებარე სანიტარულ ნორმებთან.

3. შემდწვევი ხმაურის ბგერითი წნევის დასაშვები მნიშვნელობები სიხშირეთა ოქტავურ ზოლებში, ბგერის ეკვივალენტური და მაქსიმალური დონეები საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში და ხმაურისა საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე აღებულ უნდა იქნეს ცხრილი N 3-ის მიხედვით.

	შრომითი საქმიანობის სახე, სამუშაო ადგილი	ბგერითი წნევის დონეები, დბ, ოქტავურ ზოლებში საშუალო გეომეტრიული სიხშირეებით. 3ვ									ბგერის დონეები და ბგერის ეკვივალენტური დონეები (დბ)
		31,5	63	125	250	500	1000	2000	4000	8000	
1	შემოქმედებითი საქმიანობა, სახელმძღვანელო სამუშაო გაზრდილი მოთხოვნებით, სამეცნიერო საქმიანობა, კონსტრუირება და დაპროექტება, პროგრამირება სწავლება და სწავლა, საექიმო საქმიანობა. სამუშაო ადგილები დირექციის, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს, გამომთვლელების, გამომთვლელი მანქანების პროგრამისტების სათავსებში, თეორიული სამუშაოების და მონაცემების დამუშავების ლაბორატორიებში, ავადმყოფთა მიღება ჯანპუნქტებში.	86	71	61	54	49	45	42	40	38	50
2	მაღალკვალიფიციური სამუშაო, რომელიც მოითხოვს ყურადღების დამახვას, ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმიანობა, გაზომვითი და ანალიზური სამუშაოები ლაბორატორიებში; სამუშაო ადგილები საამქროს მმართველობითი აპარატის სათავსებში, კანტორის სათავსებში, კანტორის სათავსთა სამუშაო ოთახებში, ლაბორატორიებში	93	79	70	68	58	55	52	52	49	60
3	სამუშაო, დაკავშირებული ხშირად მიღებად მითითებებთან და აკუსტიკურ სიგნალებთან: სამუშაო, რომელიც მოითხოვს მუდმივ სმენით კონტროლს; ოპერატორის სამუშაო ზუსტი გრაფიკით-ინსტრუქციის მიხედვით; სადისპეჩერო სამუშაო. სამუშაო ადგილები სადისპეჩერო სამსახურის სათავსებში, კაბინეტებში და სათავსებში, საიდანაც წარმოებს დაკვირვება და დისტანციური მართვა ტელეფონით, სამეტყველო კავშირის საშუალებით: მანქანაზე მბეჭდავთა ბიუროში, ზუსტი აწყობის უზნებზე, ოსტატთა სათავსებში, გამომთვლელ მანქანებზე ინფორმაციის დამუშავების დარბაზებში	96	83	74	68	63	60	57	55	54	65
4	სამუშაო, რომელიც მოითხოვს ყურადღების დამახვას, სამუშაო გაზრდილი მოთხოვნებით, დაკავშირებული საწარმოო ციკლების დაკვირვების პროცესებთან და დისტანციურ მართვასთან, სამუშაო ადგილები პულტებთან კაბინეტებში, საიდანაც წარმოებს დაკვირვება და დისტანციური მართვა ტელეფონით სამეტყველო კავშირის გარეშე, ლაბორატორიების სათავსებში გამომთვლელი მანქანების ხმაურიანი აგრეგატების განლაგებისათვის განკუთვნილი	103	91	83	77	73	70	68	66	64	75
5	ყველა სახის სამუშაოების შესრულება (გარდა 1-4 პუნქტებში ჩამოთვლილისა და მათი ანალოგიურისა) საწარმოო სათავსების და დაწესებულებების ტერიტორიის მუდმივ სამუშაო ადგილებში	107	95	87	82	78	75	73	71	69	80
სარკინოგზო ტრანსპორტის მოძრაობის შემადგენლობა											
6.	სამუშაო ადგილები თბომავლების, მეტროპოლიტენის მატარებლების, დიზელმატარებლების და ავტომობილების მემანქანეთა კაბინეტებში	107	95	87	82	78	75	73	71	69	80
7	სამუშაო ადგილები ჩქაროსნული და საგარეუბნო ელექტრომატარებლების მემანქანეთა კაბინეტებში	103	91	83	77	73	70	68	66	64	75
8	სათავსები შორსმავალი მატარებლების ვაგონების პერსონალისათვის, სამსახურობრივი სათავსები სარეფრეკტორო სექციებისათვის, ელექტროსადგურების ვაგონებისათვის, სათავსები საბარგო და საფოსტო განყოფილებების დასვენებისათვის	93	79	70	63	58	55	52	50	4	60
9	სამსახურებრივი სათავსოები საბარგო და საფოსტო ვაგონების, ვაგონ-რესტორნებისათვის	100	87	79	72	68	65	63	61	59	70
საზღვაო, სამდინარო, თევზსარეწი და სხვა ხომალდები											

10	სამუშაო ზონა ხომალდების ენერგეტიკულ განყოფილებათა სათავსებში მუდმივი ვახტით (სათავსები, სადაც განლაგებულია მთავარი ენერგეტიკული დანადგარი, ქვაბები, ძრავები და მექანიზმები, რომლებიც გამოიმუშავენ ენერგიას და უზრუნველყოფენ სხვადასხვა სისტემების და მოწყობილობების მუშაობას)	107	95	87	82	78	75	73	71	69	80
11	სამუშაო ზონები ხომალდების მართვის ცენტრალურ პოსტებზე (ცპმ)(ბგეროზოლირე ბული), სათავსებში, რომლებიც გამოყოფილია ენერგეტიკული განყოფილებიდან, სადაც დადგმულია საკონტროლო ხელსაწყოები, საინდიკაციო საშუალებები, მთავარი ენერგეტიკული დანადგარის და დამხმარე მექანიზმების მართვის ორგანოები	96	83	74	68	63	60	57	55	54	65
12	სამუშაო ზონები ხომალდების სამსახუროებრივ სათავსებში (მესაჭეები,სამტურმანოები, ბაგერმისტერის ჯიხურები, რადიოჯიხურები და სხვა)	89	75	66	59	54	50	47	45	44	55
13	საწარმოო-ტექნოლოგიური სათავსები თევზის მრეწველობის ხომალდებზე (სათავსები თევზსარეწი ობიექტების, ზღვის და სხვა პროდუქტების გადასამუშავებლად.	107	95	87	82	78	75	73	71	69	80
ავტობუსები, სატვირთო, მსუბუქი და სპეციალური ავტომობილები											
14	სამუშაო ადგილები სატვირთო ავტომანქანების მომსახურე პერსონალისათვის	100	87	79	72	68	65	63	61	59	70
15	სამუშაო ადგილები მსუბუქი მანქანების და ავტობუსების მძღოლებისა და მომსახურე პერსონალისათვის (მგზავრებისათვის)	93	79	70	63	58	55	52	50	49	60
სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები, სამშენებლო-საგზაო, სამელიორაციო და სხვა ანალოგიური სახის მანქანები											
16	სამუშაო ადგილები ტრაქტორების,თვითმავალი შასების, მისაბმელი და საკიდი სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სამშენებლო-საგზაო და სხვა ანალოგიური მანქანების მძღოლებისათვის და მომსახურე პერსონალისათვის	107	95	87	82	78	75	73	71	69	80
სამგზავრო და სატრანსპორტო თვითმფრინავები და შვეულმფრენები											
17	სამუშაო ადგილები თვითმფრინავების და შვეულმფრენების კაბინებში და სალონებში: დასაშვები ოპტიმალური	107 96	95 83	87 74	82 68	78 63	75 60	73 57	71 55	69 54	80 65

შენიშვნები:

- 1.დარგობრივ დოკუმენტებში დასაშვებია უფრო მკაცრი ნორმები შრომითი საქმიანობის ცალკეული სახეებისათვის, შრომის დამაბულობის და სიმძიმის გთვალისწინებით ცხრილი N 1-ის შესაბამისად.
2. აკრძალულია მოკლე დროით ყოფნაც კი ზონებში, სადაც ბგერის წნევის დონე 135 დბ-ზე მაღალია ნებისმიერ ოქტავურ ზოლში.

ცხრილი3

1.ბგერის წნევის დასაშვები დონეები, ბგერის დონეები, შემღწევი ხმაურის ბგერის ეკვივალენტური და მაქსიმალური დონეები საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და ხმაურის დასაშვები დონეები საცხოვრებელ განაშენიანების ტერიტორიაზე.

	სათავსების ან ტერიტორიების დანიშნულება	დღე-ღამის დრო	ბგერითი წნევის დონეები, დბ, საშუალო-გეომეტრიული სიხშირის ოქტავურ ზოლებში,ჰგ									ბგერის დონე LA და ბგერის ეკვივალენტური დონეები LAeq, დბ A	ბგერის მაქსიმალური დონეები LA მაქს, დბ A
			31,5	63	125	250	500	1000	2000	4000	8000		
1	სავადმყოფოების და სანატორიუმების პალატები. სავადმყოფოების საოპერაციოები	7 სთ-დან 23 სთ-მდე	76	59	48	40	34	30	27	25	23	35	50
		23სთ-დან 7 სთ-მდე	69	51	39	31	24	20	17	14	13	25	40
2	პოლიკლინიკების, ამბულატორიების, დისპანსერების სავადმყოფოების ექიმების კაბინეტები		76	59	48	40	34	30	27	25	23	35	50

3	საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები, სამასწავლებლო ოთახები, სკოლების და სხვა სასწავლო დაწესებულებების აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზები		79	63	52	45	39	35	32	30	28	40	55
4	ბინების საცხოვრებელი ოთახები, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, მოხუცთა და ინვალიდთა სახლი-ინტერნატების საცხოვრებელი სათავსები. საძინებელი სათავსები ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში და სკოლა ინტერნატებში	7 სთ-დან 23 სთ-მდე	79	63	52	45	39	35	32	30	28	40	55
		23 სთ-დან 7 სთ-მდე	72	55	44	35	29	25	22	20	18	30	45
5	სასტუმროების ნომრები და საერთო საცხოვრებლების საცხოვრებელი ოთახები	7 სთ-დან 23 სთ-მდე	83	67	57	49	44	40	37	35	33	45	60
		23 სთ-დან 7 სთ-მდე	76	59	48	40	34	30	27	25	23	35	50
6	კაფეების, რესტორნების, სასადილოების დარბაზები		90	79	70	63	59	55	53	51	49	60	75
7	მაღაზიების სავაჭრო დარბაზები, აეროპორტების და სადგურების (ვაგზლების) სამგზავრო დარბაზები, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მიმღები პუნქტები		93	79	70	63	59	55	53	51	49	60	75
8	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება საავადმყოფოების და სანატორიუმების შენობებს	7 სთ-დან 23 სთ-მდე	83	67	57	49	44	40	37	35	33	45	60
		23 სთ-დან 7 სთ-მდე	76	59	48	40	34	30	27	25	23	35	50
9	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება საცხოვრებელ სახლებს, პოლიკლინიკების შენობებს, ამბულატორიების, დისპანსერების, დასასვენებელი სახლების, მოხუცთა და ინვალიდთა სახლი-ინტერნატების, ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებების, სკოლის და სხვა სასწავლო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების შენობებს	7 სთ-დან 23 სთ-მდე	90	75	66	59	54	50	47	45	44	55	70
		23 სთ-დან 7 სთ-მდე	83	67	57	49	44	40	37	35	33	45	60
10	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება სანატორიუმების და საერთო	7 სთ-დან 23 სთ-მდე	93	79	70	63	59	55	53	51	49	60	75
		23 სთ-დან 7 სთ-მდე	86	71	61	54	49	45	42	40	39	50	65

	საცხოვრებლების შენობებს												
11	დასასვენებელი მოედნები საავადმყოფოების და სანატორი უმების ტერიტორიებზე		76	59	48	40	34	30	27	25	23	35	50
12	დასასვენებელი მოედნები მიკრორაიონების და საცხოვრებელი სახლების ჯგუფების, პანსიონატების, მოხუცთა და ინვალიდების სახლი-ინტერნატების სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლის და სხვა სასწავლო დაწესებულებების მოედნები		83	67	57	49	44	40	37	35	33	45	60

VIII. შენიშვნა

1. დასაშვები დონეები ხმაურისათვის, რომელიც წარმოიქმნება გარე წყაროების მიერ, დგინდება სათავსების ნორმატიული ვენტილაციის უზრუნველყოფის პირობით (საცხოვრებელი სათავსების, პალატების, საკლასო ოთახებისათვის – ღია სარკმლებით, ვიწრო საგდულიანი (ფრთებიანი) ფანჯრებით).

2. ბგერის ეკვივალენტური და მაქსიმალური დონეები, დბ, ხმაურისათვის, რომელიც წარმოიქმნება ტერიტორიაზე საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის მეშვეობით, დაშორებული ხმაურდამცავი ტიპის საცხოვრებელი შენობების, სასტუმროების, საერთო საცხოვრებლების შენობების პირველი ეშელონის გამყოფი კონსტრუქციიდან -2 მეტრით, მიმართული საერთო-საქალაქო და რაიონული მნიშვნელობის მაგისტრალური ქუჩებისა და რკინიგზისაკენ, დაშვებულია მიღებულ იქნას 10 დბ A-ით მაღალი (შესწორება =+10დბA) , ვიდრე ცხრილ 3-ის მე-9 და მე-10 პოზიციებშია მითითებული.

3. ბგერითი წნევის დონეები სიხშირეთა ოქტავურ ზოლებში, დბ, ბგერის დონეები და ბგერის ეკვივალენტური დონეები, დბA, ხმაურისათვის, რომელიც წარმოიქმნება სათავსებში და ტერიტორიაზე, მოსაზღვრე შენობებიდან ჰაერის კონდიციონირების, საჰაერო გათბობის, ვენტილაციისა სისტემით და სხვა საინჟინრო-ტექნოლოგიური მოწყობილობებით, მიღებულ უნდა იქნას 5დბ A-ით ნაკლები (შესწორება =5დბA-ით) , ვიდრე მითითებულია ცხრილ 3-ში. (შესწორება ტონალური და იმპულსური ხმაურისათვის ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული).

4. ტონალური და იმპულსური ხმაურისათვის მიღებულ უნდა იქნას შესწორება -5დბ A.